

შეტყობინება მეთერთმეტე  
კეთილი მიწის ნაყოფების სიუხვე  
და ერთობლივი თაყვანისცემა ღმერთი მამისა ჭეშმარიტობაში

ადგილები წერილიდან: რჯლ. 8:7-10; 12:6-7, 11-12, 18; 16:15-17; ეფეს. 3:8; იოანე 4:23-24

- I. ჩვენ ვიყენებთ სიტყვა „სიუხვეს“, რადგან ისრაელის ხალხი გვერდზე დებდა თავისი ნაყოფების გარკვეულ ხვედრს, მიძღებულს შრომის შედეგად კეთილ მიწაზე, იმ მიზით, რომ თაყვანი ვცეთ ღმერთისათვის – რჯლ. 12:5-15, 17-18, 20-22, 26-27; 14:22-23; 15:19-20; 16:16-17:**
- ა. კეთილი მიწის ნაყოფების სიუხვე არის წინასახე ქრისტესი – 8:7-10.
  - ბ. ისრაელის ხალხს მიჰქონდა ქანაანის ნაყოფები ღმერთისათვის და ტკებობდა მისით ღმერთთან ერთად.
  - გ. კეთილი მიწის ნაყოფების სიუხვეთ ტკობა არის წინასახე ერთობლივი ტკობისა ქრისტეთი როგორც ჩვენი თაყვანისცემით ღმერთისადმი – ეფეს. 3:8.
  - დ. ამ წინასახის ახალი აღთქმისეული ასრულების თანახმად, როდესაც ჩვენ მოვდივართ, რათა თაყვანი ვცეთ ღმერთს ერთობლივად, ჩვენ უნდა მოვიტანოთ ქრისტე, რომელსაც ჩვენ განვიცდით – ეფეს. 3:17-18; კოლ. 1:27; 3:3-4, 11.
- II. თუ ჩვენ ერთგულად ვიშრომებთ ყოველისმომცველ ქრისტეზე, ჩვენ გვექნება ქრისტეს სიმდიდრე როგორც ნაყოფები, რომლებიც ნებას მოგვცემს ჩვენ გამოვაგლინოთ ქრისტე ეკლესიის კრებებზე – ეფეს. 3:8; 1 კორ. 14:26:**
- ა. ქრისტიანების სათანადო სიცოცხლე არის ის, რომ ყოველ დღე ვიშრომოთ ქრისტეზე და შედეგად მივიღოთ მდიდარი სიუხვე ქრისტესი, რომელსაც ისინი შეძლებენ მოიტანონ კრებაზე ქრისტეს მდიდარი გამოვლენისათვის – მუხ. 26:
    - 1. ჩვენ ვიკრიბებით ერთად ეკლესიის კრებებზე, რათა გამოვაგლინოთ ქრისტე – კოლ. 1:18, 27.
    - 2. იმის წყალობით, რომ ჩვენ ყოველდღიურად განვიცდით ქრისტეს სიმდიდრეს, ეს სიმდიდრე გახდება გამოვლინება ქრისტეს ნაყოფებისა – ეფეს. 3:8, 17--18; კოლ. 2:6, 9-10, 17.
    - 3. ჩვენი კრებები ყოველთვის უნდა იყოს გამოვლინება, რომლებიც გვიჩვენებს, როგორია ქრისტე, რა აქვს ქრისტეს და რას აკეთებს ქრისტე – ებრ. 1:3; 2:9, 14; 1 იოანე 3:8; 4:9, 15; საქმე. 2:24, 32-33; გამოცხ. 1:17ბ-18.
  - ბ. ჩვენ ვიკრიბებით იმისათვის, რომ გამოვაგლინოთ არა მარტო ქრისტე, ჩვენთვის ღმერთისაგან მიცემული, არამედ ქრისტეც, რომელიც ჩვენ წარმოვქმენით, ქრისტე, რომელზეც ჩვენ ვშრომობდით და რომელსაც ჩვენ განვიცდით; ჩვენ ვიკრიბებით ერთად, რათა გამოვაგლინოთ ასეთი ქრისტე – კოლ. 1:12-13; ფილიპ. 3:10.
  - გ. თუ ჩვენ მუდმივად ვიშრომებთ ქრისტეზე, ჩვენ გვექნება მდიდარი სიუხვე ქრისტესი, რომლის მოტანასაც ჩვენ შევძლებთ კრებაზე ქრისტეს უხვი გამოვლინებისათვის – 1 კორ. 1:24, 30; 10:3-4; 14:26.
  - დ. ყოველთვის, როდესაც ჩვენ ვიკრიბებით ერთად, მიუხედავად იმისა, თუ როგორ კრებას ვატარებთ, ჩვენ უნდა მივიღეთ ქრისტესთან, რომელსაც ჩვენ განვიცდით, როგორც სიუხვეს, რათა მოვუტანოთ ის ღმერთს და გამოვაგლინოთ მთელ სამყაროში და მტრისათვის, და ამის მეშვეობით შევარცხვნოთ ის – იოანე 4:23-24; ეფეს. 3:10, 17; 4:15:
    - 1. მაშინ ჩვენი კრებები იქნება გამდიდრებული და გამტკიცებული, რადგან ისინი იქნება სავსე ქრისტეთი – კოლ. 3:4, 10-11

2. ასეთი ეკლესიური ცხოვრება წარმოადგენს ქრისტეს გამოვლინებას, ქრისტეს გამოხატულებას – ეფეს. 3:21
  3. ჩვენ უნდა მივიტანოთ ქრისტეს სიუხვე თითოეულ კრებაზე, რათა გამოვავლინოთ ქრისტე – მუხ. 8.
  4. ჩვენ უნდა დავტკბეთ ქრისტეთი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში და შევიკრიბოთ ერთად, რათა გამოვავლინოთ ის – 1 პეტ. 1:8.
- ე. იმისათვის, რომ ჩავატაროთ სათანადო ქრისტიანული კრება, ჩვენ ყოველდღიურად უნდა შევეხოთ უფალს ჩვენს პირად ცხოვრებაში, ხოლო შემდეგ მივიდეთ კრებაზე იმის გაცნობიერებითა და გაგებით, რომ ჩვენ მივდივართ იმ მიზნით, რომ გამოვავლინოთ ქრისტე და გავუნაწილოთ ქრისტე სხვებს – 1 კორ. 14:26.
- ვ. როდესაც ვხვდებით ქრისტეში, / მისი სიუხვის სიჭარბე, / საკვებად მოგვაქვს ღმერთისთვის, / გამოვხატავთ ქრისტეს. / ქრისტე გამოვხატოთ, / ქრისტე გამოვხატოთ; / ეკლესიაში კრებებზე, / ქრისტე გამოვხატოთ. – ჰიმნი 622, კუპლეტი 1 და მისამღერი.

**III. ჩვენ უნდა ვიშრომოთ ყოვლისმომცველ ქრისტეზე, რათა მივიღოთ სიჭარბე ქრისტესი, რომელიც ჩვენ შეგვიძლია მივიტანოთ ეკლესიის კრებებზე ღმერთის, ჩვენი მამის, ერთობლივი თაყვანისცემისათვის – იოანე 4:23-24; ეფეს. 3:21:**

- ა. მე ვიბრძვი ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისცემისათვის ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში [ეს იყო ნათქვამი 1982 წელს]. გამარჯვება ამ ბრძოლაში ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული“ (*„ახრულება ხვანისა და შესაწირავების იოანეს წერილებში“*).
- ბ. ჩვენ მიერ მამის თაყვანისცემისათვის ის არ მოითხოვს, რომ ჩვენ მივიდეთ მასთან ქრისტეს მოსავლით; აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა მივიდეთ ეკლესიის კრებებზე ქრისტეს სიმდიდრით – იოანე 4:23-24; ეფეს. 3:8.
- გ. ყოველ დღე, ჩვენ უნდა ვიშრომოთ ქრისტეზე, რათა მოვაგროვოთ მოსავალი ქრისტეს სიმდიდრისა, რომელსაც ჩვენ მივიტანთ ეკლესიის კრებებზე ღმერთი მამის ერთობლივი თაყვანისცემისათვის; ქრისტე იქნება ამაღლებული და განდიდებული, ხოლო მამა იქნება კმაყოფილი და დაკმაყოფილებული – რჯლ. 12:6; 16:15-17; 1 კორ. 14:26; იოანე 4:23-24.
- დ. ჩვენთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია, გულმოდგინედ ვიშრომოთ ქრისტეზე, რათა ჩვენი ხელები სავსე იყოს ქრისტეთი, ხოლო შემდეგ მივიდეთ ეკლესიის კრებებზე, რათა დავტკბეთ ამ მდიდარი და დიდებული ქრისტეთი ღმერთის შვილებთან და თვითონ ღმერთ მამასთან ერთად – 1 კორ. 10:31; 14:26; იოანე 4:23-24; რომ. 15:6.
- ე. ყოველთვის, როდესაც ჩვენ მივდივართ უფლის ტრაპეზის კრებაზე, რათა გავიხსენოთ უფალი და თაყვანი ვცეთ მამას, ჩვენ უნდა მივიდეთ ქრისტეს სიმდიდრით, რომელიც ჩვენ წარმოვქმენით, ყოველდღიურად ქრისტეზე შრომით – რჯლ. 16:15-17:
  1. თაყვანი ვცეთ ღმერთს ქრისტეთი – ნიშნავს თაყვანი ვცეთ მას ერთობლივად ღმერთის ყველა შვილთან ერთად, დავტკბეთ ქრისტეთი ერთმანეთთან და ღმერთთან ერთად – 1 კორ. 14:26.
  2. ჩვენ უნდა წარმოვქმნათ ქრისტე საკმარისი რაოდენობით, რათა წარმოქმნას სიუხვე, რათა ჩვენ შევძლოთ გავუნაწილოთ ის სხვებს და მივიტანოთ საუკეთესო ნაწილი ნაყოფებისა ღმერთ მამას მისი სიხარულისათვის, სიამოვნებისა და ტკბობისათვის – რჯლ. 15:11; 18:3-4; 12:11.
- ვ. ამ უკანასკნელ დღეები უფალი აღადგენს ნამდვილ განცდას ქრისტესი, რათა გამოავლინოს სიჭარბე მისი სიმდიდრისა კრებებზე ეკლესიის როგორც ქრისტეს

სხეულის ასაშენებლად და იმისათვის, რომ პატარძალმა მოიმზადოს თავისი თავი საქმროს მოსვლისათვის.

**IV. თანახმად იოანეს 4:23-24-სა, ჩვენ უნდა თაყვანი ვცეთ ღმერთს, ჩვენს მამას, სულში და ჭეშმარიტებაში:**

- ა. ჭეშმარიტობა – არის გახსნილი ღვთაებრივი სინამდვილე: სამერთიანი ღმერთი დარიგებული ადამიანში ძეში, იესო ქრისტეში, – რომელიც ხდება ჩვენი ნამდვილობა და გულწრფელობა, რათა ჩვენ ვიცხოვროთ ცხოვრებით, რომელიც შეესაბამება ღვთაებრივ სინათლეს (1 იოანე 1:5), და თაყვანი ვცეთ ღმერთს, როგორც ამას ეძებს ღმერთი, იმის თანახმად, რასაც ის წარმოადგენს (2 იოანე 1; 3 იოანე 1).
- ბ. ღვთაებრივი სინამდვილით ტკობის შედეგი არის ადამიანური ჭეშმარიტობა, გულწრფელობა და ნამდვილობა – იოანე 4:23-24; 1 იოანე 3:18; 2 იოანე 1; 3 იოანე 1.
- გ. ჭეშმარიტობა – არის ადამიანური სინამდვილე, გულწრფელობა, პატიოსნება, საიმედოობა და ერთგულება როგორც ადამიანური სათნოება და როგორც შედეგი ღვთაებრივი სინამდვილისა – იოანე 14:6.
- დ. სიტყვა „*ჭეშმარიტობა*“ იოანეს 4:23-24-ში აღნიშნავს ღვთაებრივ სინამდვილეს, რომელიც ხდება ადამიანური ნამდვილობა და გულწრფელობა ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისცემისათვის.
- ე. ღვთაებრივი სინამდვილე – არის ქრისტე როგორც ცოცხალი წყლის სათავე, მაცოცხლებელი სული, რომელსაც ეზიარებიან და რომელსაც სვამენ მორწმუნეები, იმის შედეგად, რომ მას შეუძლია იყოს მათ შიგნით სინამდვილე, რომელიც ხდება საბოლოოდ მათი სინამდვილე და გულწრფელობა, რომელშიც ისინი თაყვანს სცემენ ღმერთს ასეთი თაყვანისცემით, რომელსაც ეძებს ის – მუხ. 10, 14, 23.
- ვ. თაყვანი ვცეთ მამას ჭეშმარიტობაში – ნიშნავს თაყვანი ვცეთ მას იმ ქრისტეთი, რომელმაც გაუღინთა ჩვენი არსება, გახდა ჩვენი პირადი სინამდვილე, ჩვენ მიერ სამერთიანი ღმერთის როგორც ჩვენი ღვთაებრივი სინამდვილის განცდის შედეგად და ჩვენი ტკობით სამერთიანი ღმერთით როგორც ღვთაებრივი სინამდვილით – მუხ. 23-24.